N 78
02/04/2019

78-1-4-201904021057

# ხელშეკრულება

ერთის მხრივ აფხაზეთის ა.რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოდგილე თენგიზ კვირტიას (შემდგომში „**შემსყიდველი**“), და მეორეს მხრივ, შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი“ გენერალური დირექტორის სოფიო კორძახიას სახით, (შემდგომში „**მიმწოდებელი“)** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

## §1 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV **15990000** - თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი და თანმხლები პროდუქტები

| № | დასახელება | რაოდ. მახასიათებელი | რაოდენობა | ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15981200 - გაზირებული მინერალური წყალი | ცალი | 24 | 0.75 | 18.00 |
| 2 | 15981200 - გაზირებული მინერალური წყალი | ცალი | 24 | 0.85 | 20.40 |
| 3 | **15981100** - არაგაზირებული მინერალური წყალი | ცალი | 48 | 0.45 | 21.60 |
| | | | | | 60.00 |

## §2 ხელშეკრულების ღირებულება

**2.1. საქონლის** საერთო ღირებულება შეადგენს 60,00 (სამოცი) ლარი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

**§3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

**§4 მიღება - ჩაბარების წესი**

4.2. **საქონელი** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი ელექტრონული სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

**§5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

5.1. **საქონლის** მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ზ.ანჯაფარიძის13;

5.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2019 წლის 10 აპრილამდე;**

**§6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **საქონლის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **საქონლის** მიწოდება ჯეროვნად, კეთისინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **საქონლის** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

**§7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

## §8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

## §9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## §10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**§11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 10 მაისის ჩათვლით;**

12 მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი : |
|---|---|
| აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br>ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 16<br>**ს/კ:** 249250466<br>**საბანკო რეკვიზიტები:** ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>**ბანკის კოდი:** KSBGGE22. | შპს `ფრესკო შოპინგ ცენტრი~<br>ქ.თბილისი სანდრო-ეულის 13;<br>ს/კ 406092570<br>□/□BAGAGE22<br>□/□ GE95BG0000000336676400 |

**მიმწოდებელი**

გენერალური დირექტორი ს. კორძახია

**შემსყიდველი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

თენგიზ კვირტია

მინისტრის მოადგილე
ხელმძღვანელობა